საქმე №2/28296-17

11288317939934

განჩინება
საქართველოს სახელით

კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

08.12.2025 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თინათინ ეცადაშვილი

განმცხადებელი - მოვალე - ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა
(საიდენტიფიკაციო ნომერი 28001030517)
წარმომადგენელი - ზვიად გადელია

გაკოტრების მმართველი - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - ლელა ხაციკიდუ

მოთხოვნა - კრედიტორთა კრების მოწვევა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და

გამოარკვია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განხილვაშია

ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვას გაკოტრების საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა გაკოტრების მმართველის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა ლევან პარუნაშვილმა და მოითხოვა კრედიტორთა კრების მოწვევა.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, კრედიტორთა კრება იმართება გადახდისუუნარობის საქმის განმხილველ სასამართლოში. კრედიტორთა კრებას ამზადებს და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს მეურვე თავისი

უფლებამოსილების ვადის განმავლობაში, ხოლო გაკოტრების ან რეაბილიტაციის პერიოდში – გაკოტრების/რეაბილიტაციის მმართველი. კრედიტორთა კრებას უძღვება მოსამართლე. კრედიტორთა კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285 მუხლებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2025 წლის 17 დეკემბერს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) სხდომის დარბაზი №55 შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. გაკოტრების მმართველის განცხადების განხილვა;
1.2. კრედიტორული მოთხვნების განხილვა, სამეურვეო ქონების შესახებ ინფორმაციის წარდგენა.
1.3. კომპეტენციას მიკუთვნებული სხვა საკითხების განხილვა.

2. განჩინება გამოქვეყნდეს ელექტრონულ სისტემაში www.ecourt.ge (file://www.ecourt.ge)

3.განჩინებაზე შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი №64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია

მოსამართლე **თინათინ ეცადაშვილი**